ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№ CMR-300302

ქ. თბილისი

30 მარტი 2018 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი" (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ვახტანგ ნოზაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ჯოვანა" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ბექა ღაჟონიას სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის ,,ა" პუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე.

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - ჰიგიენის საშუალებების სახელმწიფო შესყიდვა (კლასიფიკატორის კოდი: CPV – 18424000 - ხელთათმანები; 19640000 - პოლიეთილენის პაკეტები და ტომრები ნარჩენებისა და ნაგვისთვის; 39224000 - ცოცხები და ჯაგრისები და სხვა სხვადასხვა ტიპის ნივთები; 39224100 - ცოცხები; 39224310 - უნიტაზის საწმენდი ჯაგრისები; 39224340 - სანაგვე ყუთები; 39224330 - სათლები/ვედროები; 39224320 - ღრუბლები; 39224350 - აქანდაზები; 39830000 - საწმენდი საშუალებები; 39832000 - ჭურჭლის სარეცხი საშუალებები; 39812000 - საპრიალებლები და კრემები; 39831200 - ფხვნილები; 39812100 - იატაკის საპრიალებლები; 39831700 - საპნის ავტომატური დისპენსერები/დოზატორები; 39811000 - ოთახში სასიამოვნო სურნელის დასაყენებელი საშუალებები; 39831400 - ეკრანის საწმენდები.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ზუსტი აღწერა და რაოდენობა მოცემულია ფასების ცხრილში (დანართი N1), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2425,71 (ორიათასოთხასოცდახუთი ლარი და 71 თეთრი) ლარს, ყველა ხარჯისა და გადასახადის ჩათვლით.

2.4 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 მაისის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადა და ადგილი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღე.

3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ქალაქი თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ქუჩა სანაპირო N8, მესამე სართული შპს ,,ეკოსერვის ჯგუფის" ცენტრალური ოფისი.

3.3 მოწოდებული საქონელი უნდა იყოს ახალი, უნაკლო და სრულად უნდა პასუხობდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3.4 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.

3.5 მიმწოდებელმა საქონლის მიწოდებისას უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედნადები.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1. ხელშეკრულების კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შპს "ეკოსერვის ჯგუფის" ლოჯისტიკის მენეჯერი ირაკლი ათანასოვი.

5.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციაა მისაწოდებელი/მიწოდებული საქონლის რაოდენობის/მოცულობის, ხარისხისა და შესრულების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა ხარვეზის აღმოფხვრა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.
6.2შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს "ეკოსერვის ჯგუფის" ადმინისტრაციის წამყვანი სპეციალისტი გიორგი იაკობაშვილი.

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი"-ს 2018 წლის სახსრებით, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
7.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.
7.4 ანგარიშსწორებისათვის საჭირო დოკუმენტაცია (გარდა ელექტრონული დოკუმენტაციისა) მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ქუჩა სანაპირო N8, მესამე სართული შპს ,,ეკოსერვის ჯგუფის" ცენტრალური ოფისი.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, "მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, "მიმწოდებელი" ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.
8.4 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, "შემსყიდველი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს "მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.6 ამ მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო და პირგასამტეხლოს თანხები დაუკავდება მიმწოდებელს საქონლის ღირებულებიდან, იმ შემთხვევაში თუ საქონლის მიწოდება არ არის განხორციელებული მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღეში გადაიხადოს შესაბამისი თანხა შესმსყიდველის სასარგებლოდ, ხოლო იმ შემთხვევაში თუ საქონლის ღირებულება ნაკლებია საჯარიმო თანხაზე მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღეში გადაიხადოს შესმსყიდველის სასარგებლოდ საჯარიმო თანხებსა და საქონლის ღირებულებას შორის არსებული სხვაობა შესმსყიდველის სასარგებლოდ.

9.ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.4 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.
9.5 ამ მუხლის 9.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში, შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციებისგამოყენებას.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის ვადაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში გარემოება არ ჩაითვლება ფორს მაჟორულად.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეცვლის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

12.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ოფიციალური წერილის სახით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით წინამდებარე ხელშეკრულების რეკვიზიტებში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

13. სხვა პირობები

13.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.
13.4 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
13.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი"
მის: საქართველო, ქალაქი თბილისი,
მთაწმინდის რაიონი, ქუჩა სანაპირო
N 8 (ნაკვეთი 4/27)
ელ-ფოსტა:makhodavadze@gmail.com
სს ,,ლიბერთი ბანკი"
კოდი: LBRTGE22
ა/ა № GE06LB0113124260741000
ს/კ 404553666

ვახტანგ ნოზაძე
დირექტორი.

მიმწოდებელი:

შპს „ჯოვანა"
მის.: ცოტნე დადიანის N7
ელ-ფოსტა: infojovvana@gmail.com
ს/კ 404518205
სს თიბისი ბანკი
კოდი: TBCBGE22
ა/ა GE85TB7520236080100005

ბექა ღაჟონია
დირექტორი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N CMR-300302

დანართი N1

N	დასახელება	მახასიათებლები	რაოდენობა	განზომილება	ერთეულის ფასი დღგს ჩათვლით (ლარი)	ჯამი დღგს ჩათვლით (ლარი)	CPV კოდი
1	რეზინის ხელთათმანები სქელი	ზომა M	10	წყვილი	1,75	17,5	18424000
2	იატაკის ჯოხი	ბამბუკის სტანდარტული	2	ცალი	4	8	39224300
3	უნიტაზის და ნიჯარის საწმენდი სითხე	4 (ოთხი) ლიტრიანი მოცულობის ქარხნულად/დალუქული დაფასოებულ ჭურჭელში	24	ლიტრი	1,89	45,36	39830000
4	ცოცხი	ოთახის, ვიეტნამის	5	ცალი	6	30	39224100
5	ჭურჭლის სარეცხი სითხე	ფეირი 1320 მლ	3	ლიტრი	4,85	14,55	39832000
6	ავეჯის საპრიალებელი	დეზოდორის სახით (300 მლ)	5	ცალი	5,5	27,5	39812000
7	ნაგვის პარკები დიდი	შავი ფერის, ნაგვის პარკი, 72X95 სმ. 26 მკრ მკრ, შეერთების ადგილები უნდა იყოს ქარხნულად დამუშავებული, პარკები განცალკევების დროს არ უნდა ზიანდებოდეს;	11600	ცალი	0,16	1856	19640000

8	ნაგვის პარკები პატარა	შავი ფერის, ნაგვის პარკი, 55X60 სმ. არანაკლებ 13 მკრ, შეერთების ადგილები უნდა იყოს ქარხნულად დამუშავებული, პარკები განცალკევების დროს არ უნდა ზიანდებოდეს.	1200	შეკვრა	0,05325	63,9	19640000
9	ნიჟარის საწმენდი ფხვნილი (რაკშა)	1000 გრამიანი შეფუთვით	5	ცალი	1,8	9	39831200
10	უნიტაზის საწმენდი ჯაგრისი	სტანდარტული	4	ცალი	3	12	39224310
11	ნაგვის ურნა პლასტმასის თავსახურით პედლით	სამუალო ზომის საპირფარეშოსთვის	4	ცალი	9	36	39224340
12	პლასტმასის სათლი თავსახურით 10 ლიტრი	10 ლიტრიანი ტევადობის	2	ცალი	6,5	13	39224330
13	იატაკის თასი/ვარცლი	პლასტმასის, არანაკლებ 10, არაუმეტეს 15 ლიტრიანი	2	ცალი	7	14	39224000
14	ჭურჭლის ღრუბელი ხაოიანი	ცალი გვერდი ხაოიანი, სინტეტიკური	2	შეკვრა	1,5	3	39224320
16	იატაკის საპრიალებელი მოპი	მოპის კომპლექტი	2	ცალი	14	28	39812100
17	მოპის თავი	მოპის თავი 50 სმ	4	ცალი	4,1	16,4	39812100
18	ლამინატის მოსაპრიალებელი სითხე	1 ლიტრიანი შეფუთვით (Wash)	5	ლიტრი	1,1	5,5	39812000
19	აქანდაზი პლასტმასის ტარით	სტანდარტული	2	ცალი	4	8	39224350
20	მინის საწმენდი სითხე	500 გრამიანი პულივიზატორით (Wash)	10	ცალი	1	10	39830000

21	ურნა საფერფლე	სტანდარტული	2	ცალი	33	66	39224340
22	თხევადი საპნის ჩასასხმელი ცილინდრი დისპენსერი	პლასტმასის; თავსახურით (150 გრამიანი საპნისთვის განკუთვნილი)	2	ცალი	7,5	15	39831700
23	ქლორი	1 ლიტრიანი (Wash)	12	ლიტრი	1	12	39830000
24	ტუალეტის აეროზოლი	300 მლ დეზოდორით	10	ცალი	1,5	15	39811000
25	ეკრანის საწმენდი	100 ცალიანი შეფუთვით	20	ცალი	5	100	39831400
		სულ ჯამი				2425,71	

შემსყიდველი:
შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი"

ვახტანგ ნოზაძე
დირექტორი

მიმწოდებელი:
შპს „ჯოვანა"

ბექა ღაჟონია
დირექტორი

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

№ CMR-300302 ხელშეკრულება
მიმწოდებელი: შპს „ჯოვანა“

ქ.თბილისი 30 მარტი 2018 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ვადასტურებთ, რომ შპს „ეკოსერვის ჯგუფი“-ს მიერ შპს „ჯოვანა“-დან პირადი ჰიგიენის საშუალებების შესყიდვის განხორციელებაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

კომპანიის დირექტორი:

ვახტანგ ნოზაძე _____

ადმინისტრაციის უფროსი:

მალხაზ ლაგაძე _____

შესყიდვების მენეჯერი:

მალხაზ დავაძე _____

ლოჯისტიკის მენეჯერი:

ირაკლი ათანასოვი _____

ადმინისტრაციის წამყვანი სპეციალისტი:

ნუნუ გიგოლაშვილი _____

ადმინისტრაციის წამყვანი სპეციალისტი:

გიორგი იაკობაშვილი _____